სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401
Pგანათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
II კორპუსი, II სართული, დეკანატი–ოთახი №27 ტელ.: 0350 27-11-76;
E-mail: edu.faculty@tesau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**sporti**
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (I საფეხური)
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სპორტის ბაკალავრი
სწავლის ხანგრძლივობა	ოთხი აკადემიური წელი
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი	ასoცირებული პrofესორი ჰამლეტი რაზმაძე
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	პროგრამის მიზანია სტუდენტს გააცნოს სპორტული წვრთნის საფუძვლები, წვრთნის პროცესის მეთოდები და ტექნოლოგიები, განუვითაროს ამ ცოდნის თეორიული და პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევები; სპორტის სახეობების მიხედვით მოამზადოს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მქონე სპეციალისტი-მწვრთნელი.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები	**<u>ცოდნა და გაცნობიერება.</u>** კურსდამთავრებულს აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; აცნობიერებს სპორტში ღირებულებათა სისტემის განვითარებას. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სპორტული საქმიანობის პერსპექტივას, იყენებს ზოგად თეორიულ დებულებებს, საშუალებებს და მეთოდებს. სპორტული ვარჯიშისათვის ქმნის საჭირო პირობებს და იცავს მათ. **<u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</u>** შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი ვარჯიშების გამოყენებით. შეუძლია სპორტულ დარბაზში ჰიგიენური პირობების დაცვა, სპორტული ვარჯიშის სწორად წარმართვა, დაშვებულ შეცდომებზე შენიშვნის მიცემა და გამოსწორება. **<u>დასკვნის უნარი</u>** შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალისწინებით ვარჯიშის პროცესში გამოვნელილი მარტივი პრობლემის ამოცნობა. გააჩნია სპორტში ფსიქო და ნეირო ფიზიოლოგიის თანამედროვე პოზიციებიდან ფიზიკური დატვირთვებისადმი ადაპტაციის მეთოდიკის შემუშავების უნარი, სპორტში ვარჯიშის შემდეგ მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტის უნარი. **<u>კომუნიკაციის უნარი</u>** შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მომზადება სპორტში ვარჯიშის შესახებ, ფლობს უცხო ენას საბაზო დონეზე. **<u>სწავლის უნარი</u>** შეუძლია ახალი ინფორმაციების მოძიება სპორტის მიმართულებით, საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება, ასევე შეუძლია გამოცდილი მწვრთნელების პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობა. **<u>ღირებულებები.</u>** იცნობს სპორტში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. ითვალისწინებს და პატივს სცემს სპოტსმენ პროფესიონალთა აზრს, ზუსტად აცნობიერებს თანამედროვე სპორტსმენთა წვრთნის პროცესს.
დასაქმების სფერო	პროგრამის კურსდამTავრებული უფლებამოსილია განახორციელოს სპორტული საქმიანობა და დაკავდეს მწვრTნელად, იმუშაოს მეთოდისტად სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებში, სპორტულ კლუბებში, გამაჯანსაღებელ და ფიტნეს კლუბებში.